პრეზიდენტი ჩიჩილაკისა და კალანდის დღესასწაულისათვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭების ინიციატივით გამოვიდა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პარლამენტის თავმჯდომარესთან, არჩილ თალაკვაძესთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შალვა რადიანის სახელობის სოფელ დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღონისძიებას „კალანდა 2020“-ს დესწრო.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მოსახლეობას კალანდობა მიულოცა და ჩიჩილაკისა და კალანდობის დღესასწაულის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ინიციატივით გამოვიდა:

–„გამოვდივარ ინიციატივით, რომ ჩვენს ჩიჩილაკს და კალანდობას მივანიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი“ პრეზიდენტის განცხადებით, უნდა ვიფიქროთ მომავალში იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ჩიჩილაკისა და კალანდობის წარდგენაზე.

მუზეუმი, სადაც პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარისათვის კალანდობის უძველესი ტრადიცია გაცოცხლდა სოფელ დვაბზუში, 1985 წლის 20 ოქტომბერს აკადემიკოს შალვა რადიანის (შეწირულის) სახლში დაარსდა.

გასულ პარასკევს, პრეზიდენტმა ჩიჩილაკისა და „კალანდას“ შესახებ ინიციატივა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორთან ნიკოლოზ ანთიძესთან შეხვედრაზე განიხილა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 3 (10341) 20 იანვარი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთში სუპერმარკეტი „მოდერნი“ დააყაჩაღეს

14 იანვარს, ღამით, ქ. ოზურგეთის ცენტრში სუპერმარკეტი „მოდერნი“ დააყაჩაღეს. სალაროდან წაღებულია ნავაჭრი თანხა.

–ყაჩაღობა 14 იანვარს, დაახლოებით 23 საათსა და 35 წუთზე, 14 წამში მოხდა. . ნიღბიანი მამაკაცი „მოდერნში“ შემოვარდა. მოლარე სწრაფად გასწია გვერდით. სალაროდან თანხა გაიტაცა და გაიქცა – გვითხრეს სუპერმარკეტის თანამშრომლებმა.

ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროც ადასტურებს.

შსს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

იკითხეთ გაზეთი „ალიონი“

საცალო ფასი – 60 თეთრი

ხელმოწერა:

6 თვით – 15 ლარი

ერთი წლით – 30 ლარი

საქართველოს პრეზიდენტი გურიაში

„ვიყოთ ერთმანეთის მიმართ სიყვარულით, რადგან ეს არის ამ ქვეყნის ძალა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მოდის“

ალიონი. 13 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში შალვა რადიანის სახელობის სახლ-მუზეუმში კალანდის დღესასწაულს დაესწრო. ღონისძიება ოპოზიციის საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა.

–„პირველ რიგში, ყველას მოგილოცავთ, თქვენ აქ მყოფს, იმ საზოგადოებას, რომელიც აქ არის შეკრებილი, ყველას გილოცავთ დღევანდელ კალანდობას. ეს არის არაჩვეულებრივი დღესასწაული, რომელიც ჩვენ ტრადიციებში არის შენარჩუნებული და ამდენად არის ძალიან ძლიერი და ბევრის მომტანი. მინდა ყველას გისურვოთ მშვიდობა, მშვიდი წელი იყოს. ჩვენ ერთმანეთის არ ვეჯავშნოთ, ვიყოთ ერთიანი, რაც არ უნდა განსხვავებული იყოს ჩვენი შეხედულებები, ვიყოთ ერთმანეთის მიმართ სიყვარულით, რადგან ეს არის ამ ქვეყნის ძალა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მოდის. ძალიან ბევრი გავიარეთ, ძალიან ბევრს გავივლით, მაგრამ ვერ გავივლით, თუ არ გვექნება შიგნით, ჩვენში განცდა, რომ რაც არ უნდა იყოს, რაც არ უნდა განსხვავება იყოს ერთმანეთისგან, ჩვენ მაინც გვაქვს უფრო მეტი საერთო, ვიდრე გასაყოფი. ამას გთხოვთ თქვენც, ჟურნალისტებს. იმას კი არ გთხოვთ, რომ არ გამაკრიტიკოთ, მიდით და მაკრიტიკეთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ჩვენ ერთი, სხვა ერთიანი მიზანი გაგვაჩნია, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული და მინდა, რომ ამაში ერთად ვიყოთ დარწმუნებული... ვინც რაღაცას აპროტესტებს, გააპროტესტოს - თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ“,–განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა შალვა რადიანის სახლ-მუზეუმში „კალანდის“ დღესასწაულზე მედიასთან გამოსვლისას.

მანამდე, ზეიმის დაწყებამდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ლიდერებმა დავით მჟავანაძემ, ბესო ქათამაძემ, კახა ასკურავამ და სხვა აქტივისტებმა მუზეუმის შესასვლელთან საპროტესტო აქცია გამართეს. მათ საქართველოს პრეზიდენტს ქოთნის ლობიო, მჭადი და პრასი დაახვედრეს. მათი განცხადებით, კალანდობა ღამის 12 საათზე იწყება და ყველა პრეზიდენტი 14-ში, ტრადიციის თანახმად ზეიმობდა ამ დღესასწაულს მათთან ერთად. სალომე ზურაბიშვილმა კი დღესასწაული 6 საათით ადრე დაიწყო, რითიც მათ შეურაცხყოფა მიაყენა. ისინი „მონა“ და „ლობიოს პრეზიდენტი“ – სკანდირებდნენ.

კალანდის დღესასწაულში გურიაში სალომე ზურაბიშვილის გარდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნ-იციპალ-იტეტებში ნინო წილოსანი, აშშ ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ელიზაბეთ რუთი, დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია და სხვა ოფიციალური პირები მონაწილეობდნენ.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კალანდას სოფელ შემოქმედში, ილო ჩხატარაშვილის ექვსშვილიან ოჯახში შეხვდა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი თვის ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სალომე ზურაბიშვილი გურიის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა გურიის ადგილობრივ ხელისუფლებასთან სამუშაო შეხვედრა გამართა და რეგიონში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

შეხვედრისას საუბარი რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებას, მხარის ეკოლოგიას, ეკოსისტემასა და მათი შენარჩუნების ხერხებს შეეხო. მხარეებმა ასევე განიხილეს რეგიონის დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა და განვითარების სტრატეგიები.

–*„მნიშვნელოვანია, რომ რეგიონის დეცენტრალიზაციის კუთხით დაწყებული პროცესები დაჩქარებული ტემპით გაგრძელდეს“*, – აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტმა გამოყო სამი პრობლემური საკითხი, რომელებიც სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განიხილეს: ტენდერების პროცესის მოქნილობა, რეგიონის დეცენტრალიზაცია და მიწის რეგისტრაციის საკითხი ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

–*„გამოიკვეთა სამი ძირითადი პრობლემა, რომლებზე მუშაობასაც ჩემს ადმინისტრაციასთან და სხვა უწყებებთან ერთად ვაპირებ. ეს პრობლემები არ ეხება მხოლოდ გურიის რეგიონს, არამედ საზოგადოა“*, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ: გურიის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, გურიის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები ქეთევან მოისწრაფიშვილი, გია ებრალიძე; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ბესიკ ტაბატაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე თამაზ ჯინჭარაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ზაალ მამალაძე.

საქართველო პატარა ქვეყანაა და შეუძლია დეცენტრალიზაცია ადვილად მოახდინოს

ალიონი. *ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში კალანდა დღეს განაცხადა. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობისთვის მეტი თავისუფლება, მეტი დამოუკიდებლობა და მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო.*

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დღეს სამხარეო ადმინისტრაციაში მხარისა და გურიის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობას შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ქალბატონმა სალომემ და გურიის გუბერნატორმა ზურაბ ნასარაიამ მედიასთან შემდეგი სახის კომენტარები გააკეთეს:

სალომე ზურაბიშვილი: – *„ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა მერებთან, საკრებულოს თავმჯდომარეებთან, გუბერნატორთან, სადაც განვიხილეთ გურიაში მიმდინარე პროექტები. ამ პროექტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გურიის ეკონომიკის განვითარებისათვის, ისინი ამავე დროს, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას და დასაქმებას.*

შეხვედრაზე სამი პრობლემა გამოიკვეთა, რომელთა დასაძლევად იმუშავებს ჩემი ადმინისტრაცია და სხვა უწყებებიც. ეს სამი პრობლემა, სხვათა შორის, არ არის მხოლოდ გურიის პრობლემა, არამედ ზოგადია. ესენია:

– **ტენდერები** – *ძალიან ბევრი ხელშემშლელი ფაქტორია ამ კუთხით, რაც ადგილობრივ კომპანიებს არ აძლევს განვითარების საშუალებას.*

–**დეცენტრალიზაციის ბოლომდე მიყვანა,** *ამ კუთხით კანონმდებლობა იხვეწება, საჭიროა, დაჩქარდეს, რომ ადგილობრივ მმართველობასა და თვითმმართველობას მიეცეს ეფექტური მუშაობის საშუალება. ესენი არიან ყველაზე ახლოს ადგილობრივებთან ,პირდაპირ ანგარიშვალდებული არიან მოსახლეობასთან. იციან მოსახლეობას რა სჭირდება, ამიტომ მეტი თავისუფლება, მეტი დამოუკიდებლობა, მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო. საქართველო პატ-არა ქვეყანაა და შეუძლია დეცენტრალიზაცია ადვილად მოახდინოს*

– **მიწებისა და მიწის რეგისტრაციის საკითხი,** *რომლის მოუგვარებლობა ხელს უშლის ადგილობრივ მოსახლეობას თავისი ინიციატივების გამოვლენაში. მეტი საშუალებების წარმოჩენაში “*

ზურაბ ნასარაია: –*„საქართველოს პრეზიდენტს სამივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად შევხვდით, ვისაუბრეთ იმ გამოწვევებზე, რაც დღეს აქვს გურიას, გავაცანით ჩვენი შეხედულებები. ვიმსჯელეთ პროექტებზე, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, გვქონდა საუბარი ინფრასტრუქტურის იმ პროექტებზეც, რომელიც სოფლის მეურნეობის კუთხით ხორციელდება; ასევე მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, იმ საგზაო და წყალმომარაგების პროექტებზე, რომელიც დღეს გურიაში მიმდინარეობს.*

ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ დაჩქარდეს დეცენტრალიზაცია და მეტი უფლებები და მეტი საშუალებები ჰქონდეს ადგილობრივ ხელისუფლებას იმისთვის, რომ მოსახლეობის მიერ წამოჭრილი პრობლემები მყისიერად და დროულად იქნეს გადაწყვეტილი“.

წლის პირველი საკრებულოს სხდომა

ალიონი. *კალანდის მეორე დღეს, 14 იანვარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ პირველი სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებული ხუთი საკითხიდან ყველაზე მეტი დრო დაუთმო ბოლო საკითხის – „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით“ აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშის მოსმენას.*

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ შექმნილი ეს პროექტი წარმატებით ხორციელდება ევროპაში, მათ შორის საქართველოში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი კი ერთ-ერთი პირველია ჩვენს ქვეყანაში, სადაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი საუკეთესოთა ხუთეულში მეორე ადგილზეა. დარჩიამ გაწეული ერთობლივი მუშაობისათვის, მადლობა გადაუხადა არასამთავრობო ორგანიზაციებს – პროგრესის სახლს, საქართველს დემოკრატიული განვითარების კავშირს, „ოზურგეთის ახალგაზრდულ რესურსცენტრს“, ასევე ეროვნულ ბიბლიოთეკას. გაწეული მუშაობის შესახებ და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს შესაბამისად მინდია სალუქვაძემ, ლევან ხინთიბიძემ, თამარ ღლონტმა და გიო კილაძემ.

სხდომაზე მიიღეს დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემდეგი სახის ფულადი დახმარებები: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; დღის ცენტრის თანადა-ფინანსება; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა დახმარება; მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება; თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება; ლეიკემიისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება; შშმ პირთა დახმარების პროგრამა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება; სარიტუალო დახმარება; სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება; სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი; მზუნველობამო-კლებულთა ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა; ხანდაზმულთა სახლის კომუნალური გადასახადების დაფარვა; ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრამა, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კორონაროგრაფია, ანგიო-გრაფია, ძუძუს კიბოს გენეტიკური კვლევა და სხვა) დაფინანსება; ერთ წლამდე ახალშობილთა დახმარება.

მიიღეს განკარგულებები, რომ დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება: „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“; „ქ. ოზურგეთში, გურიის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე მიმაგრებული შენობის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“; „მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

ლიტერატურული კურიერი

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის გაზეთი №1, (4), იანვარი, 2020 წ

საკალანდო

მომავალს რწმენით დავლანდავ,
კაცს ქუდი და ქალს მანდილი,
მსურს მოგილოცოთ კალანდა,
ახალი წელი ნამდვილი.
დავლოცავ თქვენს ჯიშს და ჯილაგს,
უკეთესს რას ვინატრებდი,
სურო გიმშვენებთ ჩიჩილაკს,
სვით ღვინო, ჭამეთ კანფეტი.
მას მოვმკით, რასაც დავთესავთ,
მსურს, ყველას ბედი მოგვარე,
დავლოცავ დებს, ძმებს, ნათესავს,
მეზობელსა და მოყვარეს.
აკვანი არ გვაქვს მოდაში,
დაგჭირდეთ ბევრი პამპერსი
და პატარები ოდაში
ჰგავდნენ მგლის ლეკვებს დაგეშილს.
ბევრი ძეობა, გახშირდეს,
შორს ჩვენგან უამინდობა,
მსოფლიო დაგვიკავშირდეს
შრომა, შენება, მშვიდობა.
დე, აღდგეს ქვეყნის საზღვრები,
მომავალს რწმენით დავლანდავ,
აყვავდეეს ბაღი და ზვრები,
ყველას გილოცავთ კალანდას!

ვინც ჩვენი ფასი იცის

ერთგულებს მშობელ მიწის,
გვაწვდის ღვინოს და სარჩოს,
ვინც ჩვენი ფასი იცის,
იმ მკითხველს გაუმარჯოს!

ლექსი გვაღვიძებს ღამით,
როცა სხვებს სძინავთ მშვიდად
და შთაგონების წამი
გვაქცევს მოზიდულ მშვილდად.

ლექსი ჰგავს ნასროლ ისარს
და ათიანში ხვდება,
წრფელ მგოსანს, როგორც მისანს,
მკითხველი ელოდება.

ქაღალდში ახვევ თუთუნს
და მერე ასწევ ჭიქას,
ლოცავ მდინარის დუდუნს,
მთებს — შთაგონების ჯიქანს.

მთვარე ამთავრებს განსჯას,
იძინებს ვარსკვლავები,
მზე მგოსანს აძლევს ავჯას,
მლოცველი მხარ-მკლავების.

ერთგულებს მშობელ მიწის,
ვინც გვაწვდის თუნდ მწირ სარჩოს,
ვინც მგოსნის ფასი იცის,
იმ მკითხველს გაუმარჯოს!

ყოველდღიურობა

ჩემთვის ცა თუ ჩამოიქცა,
ვერ მიშველოს მიწამო,
არ მეგულვის, სხვაგან იქ ცა,
ვწუხ, რა უნდა ვიწამო.

სისხამ დილით ფეხზე ვდგები,
გული რწმენის მნთებია,
თვალს შევავლებ, სოფლის მთები
ჩემთვის ოცნებებია.

ეს მდინარეც ლაღად მღერის,
ვნებით კოცნის ნაპირებს,
მზეც სითბო-სინათლის მღვრელი
ჩემთან ალერსს აპირებს.

მგოსანი ვარ, გულს არ ვიტეხ,
ყოველს ვეალერსები,
სიტყვა რითმით გადავტიხრე,
კვლავ მსტუმრობენ ლექსები.

მელანდება ერთი ქალი,
ტრფობის ცეცხლი მედება,
ვერ ჩააქრობს ამას წყალი
და ვერც შემოქმედება.

***

ბედმა ზარები დარისხა,
ზნეც შეიცვალა ქარისო
და სულში მბორგავ ქარიშხალს
უმღერს ენრიკო კარუზო.

იმარჯვებს, ვინაც გარისკა
გერგილად და უხარვეზოდ,
გუმანით იგრძნობს ხარი ხარს,
ბედი წინსვლას ვერ ჩარაზავს,

საწუთრომ ზარი დარისხა,
მხარი იცვალა ქარისო,
სულის ბობოქარ ქარიშხალს
უმღერს ენრიკო კარუზო.

ეტიუდი

გულს ხალისი ავსებს, როგორც წყარო სურას,
დღეს სულ სხვაა ბედი ბედზე მოჩივართა,
დააფრინდა კორდებს მკერდზე ფურისულა,
ამოყელყელავდა ყოჩი ყოჩივარდა.

მიწამ გადაიძრო თეთრი პერანგი და
ნაზამთრალი ტანი იით დაილურჯა,
მედალიონივით ცას მზე დაეკიდა
და ძირს ჩამოჰყარა ოქრო ბღუჯა-ბღუჯა.

სტუმარი

ვახტანგ ღლონტი

***



ჯავრი ხრავს და მხრებში ხრის მთებს,
გოლგოთური ცოდვის გამო;
მახსოვს ის ხმაც - ,,ქრისტე...ქრისტე...
დაგინახე,ბიჭო, გამო!..
ღრუბლებში ნუ იმალები
თუ თამაში გინდა ჩემთან...''
მერე იყო წვრილმანები -

,,დროა მოვრჩეთ!..კაი,აბა!.. -
(ქრისტეს ეტყვის კაიაფა);
რაც მე,საქმე,შენ გიყავი,
არ გიზამდა სხვა იაფად.''
წყლიდან უხმობს(ბონდო ელზას) -
,,ვერ მომაწვდი,საპონს, დაო?!''
აქ,პილატე პონტოელსაც,
არ სცალია საპონტაოდ,-
ხელსაბანთან არმისულიც
ასახელეს ამ ხელებმა;
,,შენ და შენი მამი-სულიც -
(ძე-კაცს ამხელს) - ამხელებმა,

დედამტრედი ქორად მზრდიდა,
გავქცეოდი,ბედს,საიდან?!
ვაი-შენ,ჩემო ქორაზინ და,
ვაი-შენ,ჩემო ბეთსაიდა!..
მოსულს - ქრისტე არსად დამხვდა...
პეტრეც სხვა მხვდა...სხვაც - ფილიპედ...
ნუთუ,ეს გზაც,მიდის დახლთან,
თქვენ რომ გამიცაბილიკეთ?!
წამსვლელ-მომსვლელს დამრჩენი ჯობს,
ვკითხოთ ელის - ვის რა ელის...
კვლავ,ვინ შეკრას,ჩვენი,ბიჯო,
გაფანტული ისრაელი?!

მერე ყველა ერთად მცემდა.
მაშინ ჩემთვის იყავ ღმერთი,
სხვისთვის კაციც არ იყავი;
ვაი, როგორ გამართლებდი -
ხან მართლით და ხან იგავით.
მახსოვს პარასკევის ის დღეც,
უღმერთო და უღიმღამო;
დღემდე ყურს მჭრის ექო - ,,ქრისტე...
ისტე...ტე...ე, ბიჭო,გამო...''
სხვაზე ახლოს ვიდექ ჯვართან,
სიკვდილი რომ გადამიდეს...
ჯერ - გაფრენა, მერე - ვარდნა
სულ ჭირთ ბავშვობიდან დიდებს.
დღეს მეფე ხარ შენი მტრების,
მე კი უფრო მწამდი მაშინ;
ვაი,როგორ მენატრები,
დარჩენილო ბიჭობაში...
ისევ დგება დეკემბრის თვე,
ცრემლს თვალი სურს დამიქამოს;
შენ თუ ისევ გნახავ...ქრისტე...
სიკვდილიც ღირს ამის გამო!

***

ერთის ნაცვლად - სამნი რომ ხართ,
ჩვენ კი ოდენ თითო-თითო;
ამ ჩვენს ნაკლზე,ამდენ ხალხში,
რატომ უნდა მოგვითითო?!
ვცოდო,არც მე მინდა,ნებით,
ცაც მიწაზე ფაქიზია;
მომავალი წმინდანებიც
გასაწირად აქ გიზიან!
ჩვენ კი,სანამ გავერკვევით -
სად ღმერთია,სად - სატანა...
ბევრს დავტვირთავთ მძიმე ჯვრებით
გოლგოთაზე ასატანად!''

***

სანამ ვდიოთ,ორი დროშით,
თან მოსეს და თან იესოს...
პირველსიტყვა - სქოლიოში
როგორ ჩაგვატანიესო?!
,,ელი...ლამა საბაქთანი...
ვისი სული დამაქვს ტანით...
ვისი შხამით უნდა მოვკვდე,
ვისი ტყვიით,ანდა - დანით?!
მაქვს სამშობლო - ჰორიზონტთან,
ვერ მივუდექ ვერსაიდან...
ვაი-შენ,ჩემო ქორაზინ და,
ვაი-შენ,ჩემო ბეთსაიდა!..

***

ძმაო, მამავ და ღმერთო -
იესო, იეშუა...
გაჭედილი ვარ სადღაც -
ცხადსა და სიზმარს შუა.
აქეთ, მაქეთ თუ სხვაქეთ -
გამოსავალი თუა?!
ძმაო, მამავ და ღმერთო -
იესო, იეშუა...
გეძახდი, მაგრამ მიეხვდი -
დამძახებელი ყრუა.
თორემ ხმის გაცემაზე
ხომ არ იტყოდი უარს.

ძმაო, მამავ და ღმერთო -
იესო, იეშუა...
მომენატრები ისე,
ვით მშიერს პურის ყუა,
ვით ადამს სამოთხეთი,
ეშმამ რომ გამოსტყუა.
ძმაო, მამავ და ღმერთო -
იესო, იეშუა...
გენდე და, - მენდე, თუმცა
კაცი ყოველი ცრუა.
დაშრა შუბლს ქვემოთ, სადაც
ორი პატარა რუა.

პოეზია

გენრიეტა ქუთათელაძე

სიზმარი

მე საპყრობილეს დავაღწიე წუხელის თავი,
დავუსვლტი სხეულს დიდი წვალებით,
გავისეირნე ფერად სიზმარში
და მწვანე კორდზე,ცაცხვის ჩეროში ჩამოვისვენე...
რა მშვენიერი იყო ყოველი,
რეალური და თანაც ზღაპრული,
ცა დაბნათოდა მზეანთებული,
ოღონდ მზე იყო საოცრად ლურჯი,
დამჭიკჭიკებდნენ ჩიტები ხიდან,
ჰაერში იდგა ვარდის სურნელი,
მე უზრუნველად ვიჯექ ხის ძირას,
ცას შევცქეროდი...
მეფინებოდა უცხო ნათელი...

***

ჩემს ჩრდილსაც ისე ვერიდებოდი,
როგორც შარაზე ბრაზიან ძაღლებს,
წელში მოხრილი და დატანჯული
არ მსურდა ვინმეს რომ დავენახე...
შევცოდებოდი იქნება ვინმეს,
იქნება ხელიც გამოეწვდინა,
მაგრამ მითხარით,ეს სიბრალული
მეტარებინა ამ გულით როგორ!
იქნებ ,სხვას უფრო სჭიროდა შველა,
სულით უსუსურს და მოტირალეს...
მეკი,ამ გზაზე ის მომყებოდა-
ზეცნობიერი,მარადმღვიძარე,
მინთებდა სულში ჩაუმქრალ კანდელს
და მირონს მცხებდა უჩინარ ხელით,
ღვთის საუფლოში აღსავლენ ლოცვებს
მიკარნახებდა ნაზად და სევდით...
და როს მზე დაჯდა ტახტზე მეფურად,
მე დავინახე აყვავებული კვერთხი აარონის,
თავი ავიღეგავსწორდი წელში,
ტკივილებისგან სულ ახლად ვიშვი...
მე დავიბადე...
და ჩემი ჩრდილიც დაგრძელდა გზაზე.

***

მზეო მაღალო!
კიდევ ცოტა და მგონი მოგწვდები,
მგონი ჩაგხედავ მხურვალე გულში
და შეშფოთებულ სულს დაგიამებ...
რა სათქმელია გრავიტაცია, ან მატერია ან დრო, ან სივრცე,
მაინც მოვაღწევ, ვიცი შენამდე...

***

ვერ დავემალე დინებას დროის,
გავექეცი ვერსად და როგორც ქარი,
როგორც მთის ქარი მე ისე გავქრი,
გავდნი, განვქარდი უცბად მოსული თოვლის წყალივით
და გავექეცი სხეულს ჩანავლულს...

***

მე ველის ძაბვას ვაკობე უკვე, ახლა გზაში ვარ...
დროს შეყოვნებულს თუმც ვერ ვუსხლტები ასე იოლად
და მრუდე სივრცეც კანკალებს ისე,
ვით ზამთრის ღამეს გოგო ობოლი...
მაინც მოვაღწევ შენამდე, ვიცი,
მზეო მაღალო!

***

სული ტკივილით, მწარე ტკივილით გაივსო ისე,
ვით შემოდგომის კვირამალზე პირთამდე დოქი
და ისე უცებ დაიცალა, ვერც კი გავიგე..
ახლა იმ გზას მივუყვები, საიდანაც ბრუნდება არვინ...

***

გზა ქანანამდე შორია როგორ,
ათასი ჭირით, ხიფათით სავსე,
დავეხეტები უდანაში მშიერ-მწყურვალი ,
მომბეზრდა ჭამა ციურ მანანის,
არც წყურვილს მიკლავს უდაბნოს წყალი;
ებერდები უკვე,
მომეძალა თმაში ჭაღარა,
მუხლებშიც ძალა გამომელია
და ძველებურად არ მიჭრის თვალი...
დარდმა და ეჭვმა ხელი დამრია და
სინაის მთასთან ვერ გავიგონე უფლის სიტყვანი....
მოსე კი ისევ,ძველებურად,კვლავ რწმენით სავსე,
უფლის ბოძებულ კვერთხით სასწაულებს ახდენს,
უფლის დიდებით ,უფლის ნებით და უფლის რწმენით
ნირშეუცვლელად მიემართება ქანაანისაკენ..
აღთქმულ ქვეყანას სხვა ხიბლი აქვს,
სხვა ანდამატი,
თავისუფლებას ვერ მიაღწევ თურმე უმსხვერპლოდ,
თავგანწირვის და რწმენის გარეშე...
ღმერთო მიშველე ,მომფინე სიმშვიდე შენი,
ამინთე სულში შენი სინათლეერომ გზა განვაგრძო.

მზია ვაშალომიძე

განძი

ცხოვრება რთულდება, წლები მემატება,
ნერვები მოითხოვს უდიდეს დაძაბვას,
იცი, რად ვერ დავთმე ზღაპრების საუფლო?-
ვერ გადავიტანდი ოცნების დამარხვას!...

ვარ ამ ბილიკების მარადი მგზავრი
და აბგა სავსე მაქვს იმედის საგზალით,
წაბორძიკებული ყოველი ნაბიჯი
დაუბრკოლებლად გავლას მასწავლის!

რაღაცა არ მაძლევს სიმშვიდის უფლებას,
ბევრჯერ მოკეთეც კი გამიხდა მწყრალი,
რომ ვერ დავეტევი საკუთარ კანში
შვილების პატრონი ოჯახის ქალი!

გზები კი ... ათას განსაცდელს მიმზადებს,

ფხიზელი გამიხდა ყური და თვალი
მოკვდები? - შვილებს განძად დავუტოვებ
სიყვარულს ქვეყნის და იმედებს ხვალის!!

გული

რა საოცარია,
რა ძლიერ პატარა,
  და მაინც... რარიგად ტევადი!
რამდენი ცრემლები,
რამდენი წუხილი,
ყველაფერს აიტანს
და მაინც-
ვერაფრით ვერ შესძლო
დ უ მ ი ლ ი ! ! !

მედეა

... და უცხო გახდა მიწა ბერძენთა...
ეს მათ,
  უცხოთა უარყვეს ოგი!..
უგულო ბრბოთა, მოტანილს ქართა,
  უსმენდა ყიჟინს...
ნისლისფერ ღაწვთა სდიოდა ცრემლი,
გაფითრებული იდგა ქალღმერთი,
არავინ ჩანდა მიწაზე მხსნელი
მწყრალ იყო ღმერთი!..
და მომნანიე თავის ცოდვათა
(ნეტავ რაისი მოიმედეს?!)
კოლხეთის მიწას შენდობას სთხოვდა
კოლხი მედეა!..

უკვდავების ბინადარი გახდი

ლადო ასათიანს

ბავშვი ვიყავ - შენი ლექსის სტროფებს
ლოცვანსავით ვკითხულობდი დიდხანს,
მე თუ წლებმა დამიმძიმეს მხრები,-
შენ ისევე ოცდაექვსი წლის ხარ.

სიჭაბუკის სურნელი სდის სიტყვებს,
დაუმცხრალი კვლავ გიზგიზებს გზნება
მიღმიეთში ეფერები სწორებს
შენი სული ოცდაექვსის რჩება!

ყაყაჩოში შენი მზერა ვიცან,
ადრე წასულ კაცის ფიქრებს ჩავწვდი,
შეგისრულე თხოვნა, ჰოდა, გითხარ -
სენი უგი ფილტვებს ვედარ დაღრღნის...

შავთვალათა მზერაც გახუნებულა
მიმწუხრის მზემ ჩაიხვია გზები,
რამდენ ტკივილს ჩაუვლია მას უკან, -
შენ ისევე ოცდაექვსის რჩები!

გუშინ ვნახე შავთვალება გოგოს
შენი ლექსით ვით ეტრფოდა ვაჟი,
პრინცესები იცვლებიან, მაგრამ
უცვლელია ოცდაექვსის პაჟი.

თბილისსა და რუსთაველის პროსპექტს
დღემდე ახსოვთ შენი ცხელი სუნთქვა,
უკვდავების ბინადარი გახდი
არა, შენი დავიწყება ვინ თქვა!

არაფერი არ შეცვლილა ლადო
დღესაც შენი სიტყვის ეშხით ვთვრები,
მხოლოდ დროის დინებაზე ვდარდობ
შენ კი... მარად ოცდაექვსის რჩები!

ჯემალ კეჭაყმაძე

ოცდახუთსა დეკემბერსა



დღეს რომ ქრისტე დაიბადა, ყველამ კარგად ვიცით,
ბაგაში რომ ჩაწვინეს, ესეც კარგად ვიცით,
მწყემსებმა რომ თვალთ იხილეს, ვიცით, ვიცით, ვიცით,
მის მცნებებს კი როგორ გავყვეთ,— უკვე აღარ ვიცით.

შეგნებულად დაგვილოცა მთა ბარი და მდელო,
სახელიც კი გამოგვიყო მადლით ,,საქართველო'',
კურთხევაც ხომ გაიმეტა, რომ ქრისტეს გზით გვევლო,
ჩვენ კი ზურგი შევაქციეთ,მას ვინც ჩვენთვის ევნო.

სამწუხაროდ, მძიმე ჯვარი ვათრევინეთ მხრებით,
სანამ სული არ ამოძვრა, ვურტყით მათრახებით...
ის ხომ ჩვენთვის ლოცულობდა, სიბრალულით, ნებით,
ჩვენ კი ველავ აღვიქვით და ცოდვილებად ვრჩებით.

ღმერთო, იქნებ საბოლოოდ ავვიხილო თვალი,
კიდევ ერთხელ დაგვანახე შენსკენ გზა სავალი,
შევეცდებით, შენს წინაშე მოვიხადოთ ვალი,
თუ არადა, სამუდამოდ დაგვიხუჭე თვალი.

ეს ვედრება შეისმინე და შეგვინდე, ღმერთო,
დაიფარე საქართველო, გვაპატიე ღმერთო,
ნუ მოგვიზღავ, რასაც ვიმკით, გვაყოფინე, ღმერთო,

მარიამ კვაჭაძე

* * *

დავჩები თავთან მარტო,
მოხვალ სადარდო დარდო,
მოხვალ საფიქრო ფიქრო,
მოხვალ სასევდო სევდავ...
მოხვალ საელდო ელდავ...
ტანჯავ, წუხილო, გვემავ...
  არ დამორჩილდე გულო,
  მზაკვრის მოტყორცნილ ძულვას,
  ცრემლი ვერჩიოს, ცრემლი,
  ყალბი ღიმილის ხურდას...
დავრჩები თავთან მარტო
და გზას დავთელავთ ერთად
და ვივლით უხმაუროდ

* * *

ქარო, ქარულა,
ჭადრებთან რომ გაგიმართავს მარულა,

გამეგზავნე საყვარელთან,
მოეფერე სუნთქვას მალულას,
მოეფერე ჩემსა წმინდას,
მერე მიდი, მომიბრუნდი,
მოგეხვევი, გულს ჩაგიკრავ,
მე სხვა არა მინდა...
ქარო, ქარულა,
ჭადრებთან რომ გაგიმართავს მარულა...

პოეზია

ანასტასია (რუსუდან კალანდაძე)

ვერც ქვევით იფრენ

(ანუ შეხმიანება რაბინდრანათ თაგორს)

„დაუძახე ფრინველს ფრთები ოქროთი
და ვერასოდეს იფრენს ზეცაში“
რაბინდრანათ თაგორი.

სიზიფეს ლოდი მკიდია ფრთებზე,
ბედი ზეცაში ვერაფრით მტყორცნის,
ბედნიერებას რად უნდა ოქრო,
უბედურებას კი ქვებიც ჰყოფნის!

ბროწეულის ყვავილი

მოდით შევუნდოთ, ვინც ბევრს ტრფიალებს,
ცეცხლოვან გრძნობას ახლავს გავაზი.
ყვავილს, რომელსაც არ შეუძლია
უსიყვარულოდ იყოს ლამაზი.

არ გპატიობენ მრავალ სიყვარულს,
გააქვს სისინი უნდო, ავ ენას
და ბროწეულის ყვავილი ქვეყნად
მწარედ დასტირის თავის გაჩენას.

ის ბევრის ტრფობით ივსებს სიცოცხლეს,
გული ვარსკვლავეთს დამსგავსებია.
შენ უღალატებ?! ეკლებით დაგჩხვლეტს!
თვითონ დაგტოვებს?! არაფერია...

სული ეღლება ერთთან ტრიალით,
სულ სხვა გრძნობების ეხლება ტალღა.
და მხოლოდ მაშინ უყვარს სიცოცხლე,
ახალ ამურთან როცა ფრენს მაღლა.

მე როდი ვკითხავ, ის მინდა ვუთხრა,
რომ თანავუგრძნობ ტრფობით სავსე გულს.
დიდებულია ყვავილი იგი,
რომელიც იტევს ამდენ სიყვარულს!
რომ მარად ერთი შეყვარებოდა,

* * *

(ფშავურ მოტივებზე)

ბროწეულს იქნებ ჩვენს მეტად სურდა.
მასში ანთია მარადი ცეცხლი
და უკვდავების უცნობი სუნთქვა.
მდინარეს ვეფხვი დამხრჩვალა,
გადაკიდულა ქვაზედა.
მკვდარიც კი რა ლამაზია,
აღონებს არე-მარესა.

როს მოვა ჟამი განსვლისა,
არავის გაახარებსა.
ერთი კარგი აქვს სიკვდილსა –

სუყველას ათანაბრებსა.

მე სილამაზე მაღონებს,
სიკვდილს რო უცდის მხმობელსა.
რაღა ფასი აქვს სიცოცხლეს
თუ მიწა შეშჭამს ყოველსა.

ნუღა მივტირით მზის სხივებს
ჩასვლისა – დათხოვნისასა.
საფლავში ვერვინ გაარჩევს
მეფესა მათხოვრისაგან.

აუხსნელია საწუთრო,
პასუხს ვერაფრით ვიძლევი.
დაიბადება სხვა ვეფხვი,
მაგრამ შენ აღარ იქნები.

ცამ იცის, იქით რაც ხდება,
სოფელი სულ არ ინდობა!
რამდენი უნდა ჰქნა კაცმა,
რომ ჰპოვო მარადისობა?!

მერაბ ზაქარიაძე

ძახილი!

შენი სამშობლო ვარ, ვიცი გენატრები.
სადაც გინდა იყო, ყველგან გეყვარები.
ვიცი 9 მთას იქით რამაც გადაგკარგა.
ჩემზე სევდა-დარდმა რარიგად გაგთანგა.
ვიცი არვინაა შენთვის ჩემზე ტკბილი!
ო! არა, შენ არა ხარ „უძღები შვილი!"
ცუდი ვით წამომცდეს, ან რა დაგაყვედრო?
სახლში დაბრუნებულს, აქ რა დაგახვედრო?
ღთისმშობლის წილხვედრი ვარ, ჩემში სხვა მადლია.
ირგვლივ მოშურნე, მტერი არ მაკლია.
ადრეც „ბეწვის ხიდზე" ბევრჯერ გამივლია.
დღესაც გოლგოთას ვარ, უწინც ამივლია!
ჩემთან მსუბუქია, სამარის შავი ლოდი,
მანდ, რომ მოიპოვო ოქროს, თუნდაც მთები!
ოდესმე დამიბრუნდი, ბოლოს მაინც მოდი!
ჩემთან დაიმარხე, სხვაგან ნუ დარჩები!

გაზაფხული

ამირანთან ბრძოლაში დაქანცულან დევები!
თოვლ-ნაჟურს დასძღომიან, ეს ღარ-ტყაფა ხევები!
მწვანედ ასაფეთქებლად, გაბუსხულან ტყეები!
ცივ ღამეებს ჯაბნიან, მზით გამთბარი დღეები!
ნეტავ მე რა მახარებს? დრო გადის და ვბერდები!



უდარდელობა, დარდი

თოვა, წვიმა, მზე, ცვარი.
ხან ნიავი, ხან ქარი.
ძველი საყდარი, ჯვარი.
დარი, ავდარი, დარი.
ვიწრო ბილიკი ტყეში.
ჩანჩქერის სხლტომა ხევში.
ჟღერს ეკლესიის ზარი:
ნაუ! დიმ! დარი! დარი!

სული უკვდავი

ისე ვამყობ „ვეფხისტყაოსნით“,
თითქოს და ჩემი დაწერილია!
ისე ზვიადი ვარ ერის მამით,
ვითომცდა, თავად ვიყო ილია!
მე მიმაქროლებს ტატოს „მერანი,“
ვაჟამ „არწივის“ „შემსხა “ფრთებია!
თითქოს თავად ვარ გალაკტიონი,
მერიც იმგვარად შემყვარებია!
ეს მე ვარ, შიში გამქარწყლებია,
ვხედავ სამშობლო განსაცდელშია!
ჩემი სხეულის ნაკუწებია,
მღვდელი თევდორეს სული ჩემშია!
ომში ვარ, ხელი სულ მიდევს ხმალზე,
მარაბდას 9 ძმათ ვეშველებია!
ვახტანგთან ერთად ვდგავარ მწვერვალზე,
იდრიკებიან ფეხქვეშ მთებია!
ვიცი, შემინდობს სული დავითის,
თუ ზოგჯერ მასაც შევედრებია.
მე ხომ თამართან ერთად, დაჩოქილს,
ღვთისთვის სამშობლო მივედრებია!
ამერ-იმერში, მთასა თუ ბარში,
უფლის ტაძრები მიშენებია!
„შენ ხარ ვენახი“ შემიქმნია და
ღვთის სადიდებელ ჰიმნს ვმღერ დღემდია!

წმინდა ქალაქში, გაშლილი დროშით,
ამხედრებულს მეც შემიბიჯია!
ათონის მთასა თუ პეტრიწონში,
გაბრწყინებულა ჩემი ნიჭია!
ასი ათასი მოწამის რიგში,
ხატებზე არც მე გადამივლია!
მტკვარს მათთან ერთად ჩაუკრავს გულში,
ჩემი სხეულიც, ურთავს სისხლია.
აღარ მაოცებს, რას ვსტირი, ვხედები,
სულსა და გულში რა ტკივილია,
ქეთევანი რომ „დედაა “ ჩემი
და რომ პაატა ჩემი „შვილია “!
მძიმედ დაჭრილი ვწევარ ლუხუმი,
იარა გველმა „გადამიხვია“!
დემეტრე ვარ და მივალ ურდოში,
ქვეყნისთვის თავი გადამიდვია!
ვარ გუთნისდედა, გლეხი უბრალო,
შრომა-ჯაფით ქანცგაწყვეტილია
და ვარ ამაყი, რომ ეს ქვეყანა,
აქამდე ჩემი მოყვანილია!
არ მიწერია გადაშენება,
რა ბედენაა თუნდ სიკვდილია?!
მკვდრეთით აღვდგები! ივერთ ჯილაგი,
დედა ღვთისმშობლის წილხვდომილია!

ოტია ტრაპაიძე

უცნობი ჯარისკაცის ხსოვნას

შენ სამაჩაბლოს მიწაში წევხარ,
გულზე გაყრია ქართული მიწა,
ადრე სამშობლოს მკერდით იცავდი,
ახლა კი, უკვე საფლავით იცავ.

შენ არ გეგონოს, რომ დაგვავიწყდი,
ანდა მოყვასმა მაქ მიგატოვა,
დრო მოვა – მალე მთლად საქართველო
მაგ შენ საფლავთან სანთლებით მოვა.

გემზე

გემზე ვართ, ნელა ირწევა გემი,
მზე წყალში ფეხის ჩადგმას აპირებს,
მხარზე ბავშვივით დამადე ხელი,
ოცნების ზღვაში გამინაპირე.

რომ არ გიყვარდე, რა მეშველება,
ზღვაზე დახრილო დილის ცისკარო,
ზეცის და მიწის მშვენებავ, შენზე
მხოლოდ სიმღერა როგორ ვიკმარო.

ტალღებს ნათელი გადააფინე,
თორემ მოგვიხტა ღამე მთებიდან,
მზე წყალში თავის მოკვლას აპირებს,
გადაარჩინე შენი თმებითა.

მამა

საფლავს ეცემა საღამოს ბინდი,
შენთან საუბარს ქვითინით ვბედავ,
მე შენ სიკვდილიც მასწავლე მშვიდი,
ტკბილი ღიმილით დამშორდი მამა.

როცა ჩაქრება ჩემი ნათელი,
ჩამოხმებიან ლურჯი იები,
ბევრი დამრჩება კიდევ სათქმელი,
მოსაგონარი მძიმე ღელვების.

დაინამება ჩემი სუდარა,
საფლავზე ცრემლი ჩამოიღვრება
და მალე ისევ გამოიდარებს
და სხვა თაობა იტყვის სიმღერას.

გასაუბრება გალაკტიონთან

სიზმარი

სიზმარში ვნახე ჭყვიში და მახსოვს,
ქარი ქროდა და ქუხდა რიონი,
როცა ჩემს თვალწინ თეთრი წვერებით
ამოიმართა გალაკტიონი.

ქარი ჩადგა და გადაიწმინდა,
მთვარე გამოჩნდა მთელი სისავსით,
რა დამავიწყებს იმ ნათელ სიზმარს,
მე და ტიტანი ერთად ვიყავით.

იდგა ამაყი და საოცარი,
ხელში რვეულით, თეთრი წვერებით
და მთვარე იგი, მთაწმინდის მთვარე
ამკობდა მგოსანს სიზმრის ფერებით

თავი ასწია და შემამჩნია,
დამაწყებინა, მახსოვს, კანკალი,
თვითონ პოეტთა მეფე მიცქერდა,
მე ვინ ვიყავი – ერთი საწყალი.

„შენც წერ, ძამიკო, არ დამიმალო,
სახლში იციან თუ არ იციან“
მივხვდი, იხუმრა თავისებურად,
ხმა, რა თქმა უნდა, არ გამიცია.

„მორცხვობ, ძამიკო, არადა ვიცი,
ამ დროზე ბევრი გიოცნებია,
ნუ გერიდება, მეც შენთანა ვარ,
წინასწარ ვის რა გამოუცნია“.

ეს თქვა თუ არა, გამომეღვიძა,
აღარც ჭყვიშია, აღარც რიონი,
ერთი კი არის, სულ თვალწინ მიდგას
იმედიანი გალაკტიონი.

მოთხრობა

თეთრი გვირილა

დილის მზის სხივებმა თავისებური ხიბლი მოჰფინა უკვე გამოღვიძებულ არემარეს. ახმაურდა ეზო. მშვიდი ძილისგან გამოერკვნენ ჩიტებიც და საამური სტვენით ამცნეს დედამიწელებს ახალი დღის დაწყება.

გიო დილით ადრე ადგა, ჩუმად გამოვიდა სახლიდან და ნაჯახით ხელში ეზოს ბოლოში, ერთმანეთზე შეწყობილ საშეშე მორებს მიაშურა. დაუზარებლად შეუდგა საქმეს, რკინის სოლმომარჯვებული შუაზე აპობდა მორებს, მერე ჩეხავდა და საზიდარზე ათავსებდა.

დედა ფეხაკრეფით გამოვიდა საძინებლიდან. უქმე დღე იყო და ეგონა, გიოს ისევ ეძინა. ფრთხილად გამოაღო სახლის კარები, ეზოში ჩამოვიდა და დილის საქმიანობას შეუდგა.

მამასაც გაღვიძებოდა და ოთახში ჩუმად ოჯდა, ელოდებოდა გიოს გაღვიძებას, რათა ერთად წასულიყვნენ შეშის დასამზადებლად.

ამასობაში პატარა დათომაც გაიღვიძა და, ჩვეულებისამებრ, ტიტინი დაიწყო.

— არ გაჩერდები? - უთხრა მამამ, — ჩუმად იყავი, გიომ კარგად გამოიძინოს, არ გააღვიძო.

— გიო ოთახში არ არის, მამა.

— ასე უთენია სად წავიდა თუ იცი?

— არ ვიცი, არ დამინახავს.

დათომ კარები გამოაღო და დედას გასძახა:

— დედა, გიო არ გინახავს?

გაკვირვებულმა ქალმა მეუღლეს შიშნარევი ხმით შესძახა:

— სად არის გიო? მე მეგონა, ჯერ ისევ ეძინა, ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვედი. ნეტავ სად წავიდა ასე ადრიანად?

შეშფოთებულნი სახლს გარს უვლიდნენ. ის-ის იყო დედა ხმამაღლა უნდა შეხმიანებოდა, რომ უცებ აღმართზე შენიშნა გიო, შეშით დატვირთულ საზიდარს მოაგორებდა.

მამას სახეზე კმაყოფილება აღებეჭდა, დედა დამშვიდდა.

გიომ სამზარეულოს აივანზე გადმოაპირქვავა საზიდარი და უმცროს ძმას გასძახა:

— აბა, შენ იცი დათო, მიხედე ამ შეშებს შენებურად! — თვითონ კი ისევ ეზოს ბოლოსკენ გაემართა...

ძმებმა სამზარეულოს აივანზე შეშის კედელი აღმართეს, რათა დედას სადილ-ვახშმის კეთებაში ხელი არ შეშლოდა.

ამასობაში კარგა ხანმა განვლო. გიომ ერთხელ კიდევ დაათვალიერა ეზო. მოინახულა ის ადგილიც, სადაც გუშინ შეაკეთა დაზიანებული ღობე, დარწმუნდა, ყველაფერი რიგზე იყო და ბაღისკენ გასწია.

ნაზად იხრებოდნენ სუსტ ნიავზე ცად ატყორცნილი ალვები. განსაკუთრებულ შნოსა და ლაზათს ჰფენდა არემარეს ახლად წამოზრდილი ფიჭვის ხეები.

გიო შევიდა სახელდახელოდ ცალკე შეღობილ ბაღში, სადაც უამრავი ყვავილი ხარობდა. მზის სხივები კიდევ უფრო ლამაზსა და და მიმზიდველს ხდიდა ბუნების ამ მშვენიერებას. ჩაუარა ზამბახებს, კალენდულებს. იები უკვე აღარ ყვაოდნენ, გული დაწყდა. უცებ თეთრი გვირილები შენიშნა. ბუნებას ისე მოეხატა, მხატვარს შეშურდებოდა პირდაპირ. იქვე, ხის მორზე ჩამოჯდა, ერთი ყვავილი მოწყვიტა და ნელ-ნელა შეუდგა ყვავილის დისკოზე სიმეტრიულად განლაგებული ფრთების დაცლას:

— ავიღებ, არ ავიღებ, ავიღებ, არ ავიღებ, ავიღებ!.. - როგორც იქნა, ჩაათავა და ბოლო სიტყვა შერჩა ღიმილით გაცისკროვნებულ სახეზე.

სიხარულისაგან ფრთებშესხმულმა არ იცოდა, რა ექნა და ხმამაღლა დაიყვირა:

— ავიღებ! ავიღებ! ავიღებ!!!

— რას აიღებ, ბიჭო? — აქეთ-იქედან შემოესივნენ მშობლები.

— ოქროს მედალს ავიღებ, უმაღლეს სასწავლებელს დავამთავრებ, ვეზიარები მსოფლიო კულტურას, დავრაზმავ ჩემს მეგობრებს და ჩვენს სოფელს, მთელ საქართველოს ავაღორძინებთ ერთობლივად. ახლა კი, დაპირებისამებრ, ჩემს თანატოლებთან ერთად, ვაპირებ ჩვენი სოფლის ტერიტორიის ძირეულად დასუფთავებას. იმედია, ჩემი ძმა დათოც მიიღებს მონაწილეობას შაბათობაში.. — აღტაცებული პასუხობდა მშობლებ შრომისმოყვარე, დაუზარებელი, მიზანდასახული, წიგნების მოყვარული, ყველასათვის მისაბაძი მეთორმეტეკლასელი ბიჭი.

ციხანა ჩხაიძე-ჯაში

ავთო კოჭო (ვალერიან კანთელაძე)

მწვანე ვაგონები

წვიმის წვეთები ატირებულ სანთელს
მაგონებს,
გზააბნეული მგზავრის ბედით
ვზივარ სადგურში და... ვათვალიერებ
მწვანე ვაგონებს.
სად მივალ? არსად! ეს სულერთია, საითაც
წავალ,
ოღონდ წავიდე და გავშორდე ამ წყეულ
ქალაქს,
ტაკიმასხარებს, ვითომ ძმებს და ვითომ
ძმაკაცებს,
იმ ხალხს, რომელიც გიცინის და
სახეს მალავს.
თუ შემოგფიცე მე შენ ძმობა! ვრჩები
ერთგული,
ამდენ ნიღბიანს რა უყურებს, გასკდა
ეს გული.
თუ მიიტანე გულთან ჩემი დარდი, ტკივილი
და... გამომყევი, მეგობარო, როგორც
რჩეული,
მე აღარ ვივლი სადგურ-სადგურ
გზააბნეული.

გადავარჩინოთ ქართული ენის მთავარი ძარღვი – მთის დიალექტი

„დიალექტების შესწავლა საშური და გადაუდებელი საქმეა. ლიტერატურული ენა, სკოლის, პრესის, სოფლისა და ქალაქის მჭიდრო ურთიერთობის გამო მკვიდრდება ფართო მოსახლეობაში და ნიველირება ხდება დიალექტებისა. იშლება კუთხური მეტყველების თავისებურებები, ხმარებიდან გამოდის ძველი ყოფის დამახასიათებელი სიტყვები და შემოდის ახალი, თანამედროვეობის დამახასიათებელი ლექსიკა. ბევრი სიტყვა და ტერმინი, გუშინ ცოცხალი და აქტიური, დღეს უკვე მივიწყებას არის მიცემული. ჩვენი ვალია ფიქსაცია ვუყოთ ამას მანამ, სანამ საბოლოოდ გაქრებოდეს.

ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე.
ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, 1961 წ. გვ. XXI“

ეს ის დროა, როცა ქართული ენის გაღარიბების საშიშროება იგრძნეს მამულიშვილებმა. ამ საქმის მებაირახტრის, აკად. აკაკი შანიძის მეთაურობით, ქართული ენის გასამდიდრებლად და ცხოველმყოფელობის საიმედოდ ასამღლებლად, დიდი მუშაობა გაიშალა.

სწორედ ამ დროს დაემთხვა ჩემი სტუდენტობის წლები და მეც, როგორც მომავალი ფილოლოგი, აღმოვჩნდი ამ საქმეში ჩართული (1963-1968 წწ.). ხუთი წლის მანძილზე, ყოველ სტუდენტურ არდადეგებს სურების ლექსიკის შესწავლაში ვატარებდი. გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მაშინ ერთი უნივერსიტეტი იყო საქართველოში) მივლინებაში გვაგზავნიდა სტუდენტებს მთის სოფლებში ძველი ისტორიების შესასწავლად. ძირითადი მიზანი ლექსიკური ერთეულების შეგროვება და შესწავლა იყო.

ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ დადგებოდა დრო და იმ უდიდეს ნაშრომს მომწამვლელი მტკერი დაედებოდა. უცხოურმა ენებმა და განსაკუთრებით, ცხოვრების უცხოურმა წესებმა, ღამისაა, გადალეკოს „ჩვენი ენა ქართული“! სწორად გამიგეთ, ძვირფასო მკითხველო! უცხოურიც, დიახაც საჭიროა! უცხოურს მუდამ ელტვოდა ქართველი კაცი, უცხოეთში იღებდა განათლებას, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მისთვის დაეთმო ქართული მიწა, არამედ, პირიქით, — ისინი აქეთ უნდა შემოგვშველებოდნენ საქართველოს გადარჩენაში.

გადარჩა კიდეც მრავალგზის ქვეყანა ჩვენი. მაგრამ, როგორც დღევანდელობა გვაჩვენებს, ახლაც, ბევრს რომ არც გაუგია, ისევ „ბორბალი უკუღმა დატრიალებულა“ და ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც, არა მონაცვლეობით, არამედ სამივე ერთად საშიშროების წინაშე დამდგარა.

ამ მიწის გულში იმდენი ქართველის სისხლია ჩაღვრილი, რომ დიდი გვალვების დროს წყლის მაგვრობას სწვეს.

ხელში გვაკვდება ქართული სოფელი. ჭკნება ქართული ენა, იკარგება მისი მთავარი მკვებავი ძალა — მთის დიალექტი.

... და რომ ეს არ მოხდეს, უკან უნდა მივბრუნდეთ და ახალ თაობას ველაპარაკოთ ისე, როგორც მე 57 წლის წინ სადიპლომო თემაზე მუშაობის დროს ზემოსურებლები მესაუბრებოდნენ.

ისაკი ბარამიძე, 89 წლის, თავსურები, 1967 წელი:

„რუმელი ხარ, მობძანდი. ა, დაყეი ჯორკოზე. სიდიური ხარ, ბიძა?

ხოოო...! როვა არ ვიცი მი ხალხი ბაბუაშენი და მე ერთად ვიყით ყოლგან. ჯარშიც ერთად დაგვიძახენ, 14-ში, მარა მე დამბრაკენ. მი ქე წეიყვანენ. მი კარანდაში და ქაღალდი რეიზა გიკავია ხელში, გადასახადის შესაწერათ გამოგიშუენ? გადახთილი ვნახე ამ თავრობის ლოყის კანი. იმდონი არ უუდგენ გვერდები, მე რამე არ გადვიხადო. ვალი მაქ რამე მაგინის თუ?

ა,ა,ა,ა, — ძველი ამბები და რაფერ ლაპარაკობენ სურებლები, იგი დაწერეთ?

ხოოო! ყორფელი კაკალ-კაკალ მახსოვს. ერი კაცი ვერ დამკრავდა ვერასფელში, მარა ფეხი გამფუეჭდა მაშინ, ელიოტეს დროს. ამ სხტეებს რუმ ვანგრევდით, მაშინ ლალები რუმ აფეთქდა, სხტეის ნაგლეჯე მომხვდა მუხში და გადასხეპა აი მუხლი. ქე მომრჩასავით, მარა ფეხს ვეღარ ვაკავ.

ჩემს სახს ზვით არიკაკი არ ცხოვროფს, საყილოურას იმიზა უმახენ ამ არდგილს. არა, არა, საეფარე სხვა ალაგია, გალმა კედრითაა და პაწე ქერელეა. კერნა დეინტროვა, იმფერი კარჩხლებია მაქანე.

ქარხნის ამბავი გინდა შენ? მეიჩრე ელანძე აქეთრელე. შედექი მაგ ჯიკვზე. ე, ეგერ იმ გორას იქითრელე, ე, ე, ე, მაგას რომ გადეიარ, გეიმინდვრეფ პაწაზე და მაგ სალაკინეა ჩიხნარი.

რეიზა ქვია და საქონელს აგუბაშებენ მაქანე. მერე კიდომ, იმსაც ქე ჩივენ, რა უნდოდა ამ სკურიეფში ქარხანასო. რაფერ იყო და საცხა ხალხი მეიფრის თავს, იქინე რაცხა ახალი ყოველთვინ წამოაკიტინებს თავს. ისოე, როვა ვთქვეა და, ნამეტარი გულღამეტანია ხალხი. შურლარიენ ჩვენი, ჩიყვანას გვიმხიენ. აიოდა, აი ჩიყვანე სურებლები რაფერ გეიჭრენ წინო. იმდონი დიდი კაცები და ქალები რაფერ გამეეიდოდენ მაგ ღელე-ღურდედანო. რეთი ნასტავლი ყავენ, რეთი კიდო სტავლოფსო. მაშინ, ქე რომ ელიოტე ამეეთრია აქანე სურებლების დასაფსებლად, სამსი კაცი ვმუშაობდით, აქედან ათმა თუ იცოდა წერა-კითხვა.

ხოდა მეკიდენ ჯერე კარანტუე ქედიანი კაცები, იგენ მოყვენ ცილინდრიანები და რა ქვია იმას, კისერში რომ ამბიენ, ხო, ვალუსტიკიანები, ჩუმთე, ტყის გულში ატარებდნენ კრებებს, გვაძლევდნენ პრაკლამაციებს და მესამე და მეოთხე მოსვლაზე გვიჩიოდენ, თქვენ ახლა ხართ პოლიტიკოსებიო. ქვეყანა ჩვენი გვეგონა, იმიზა, რომე თქვენ შობით ახლა ამ რევოლუციასო. იარაღი ჩვენი ნატვრა იყო. დაგვპირდენ, მოგცემთო. აბა ფიშტოით მეიგებდნენ ჩხუბს?

ხოდა, ერთ ღამეს წამოკვყარენ კარავიდან. აგვარჩიენ ეჭსასი კაცი და გაგვიშუენ ფოთში. იქინე დაქეხთა ერთი უცხო კაცი და ერთი რუსი. მოქცენ ორი წყვილი კამეჩები, ურმეფში შემზულები და აი, ჭვირთი, აგერ ახლოს, ლანჩხუთში უნდა ჩეიტანოთო. გამთენიეს ხანს, მივდლაზუნოთ ტალახში და დეგვეცა ორი კაცი პირახოული. დეიჭირენ აი რუსი და წეიყვანენ თურმე სურეფში. იქინე, ჩასტოურზე, კასიანე ეზიეშვილი იდგა, დიდი ნასტავლი კაცი. იმისას მიიყვანენ და შიაშწყვრიენ ახოროში. ჩვენ გამოვშორდით და დაქეხთა ორი წყვილი ხარი. გამოხსნენ აი კამეჩები, შეამზენ ხარები. გვეიარეთ ჩასტოური და შოვუდექით სურების გზას. თურმე ვინცხას უდანოსებია თავრობაში და ჭიმიმგურის ღელესთან დაგვხთენ ჟანდარმები. თურმე გაჭედილია გზა. რა მიგაქენო, გვკითხენ. წევიდენ ურმებისაკენ, იკივლა მაკარია კიკვაძემ, არ მეეკაროთ კვტრეფს, ისპანკთ დაწყდენ და მერე ჩვენ არ ვიყოთ ატვეჩაო. გადაცვინდნენ სუფსაში აი რუსები. მესამე დილას მიდადექით ზემოსურეფს. იქიდან პირდაპირ ჩიხნარში წეიღენ აი ქარხნის დაშლილი ნაწილები. მერე ჩვენ აღარ გვიკარებდენ. მუშობდა ქარხანა და ადგენის გზით ჩამეიყვანენ ამწყობები.

დეიმსენ, ნასაკირალიო და დაგვირიგენ თოფები. დედა რა იყო, ბიჯო, ხელმოუკიდებელი, ბზიალობდა ბზეზე. წევედით საომრათ, მარა დაგვაბრუნენ გზიდან, დავმარცხთით უყე, შეინახეთ მაი თოფები, მალე დაგიმსხეფთო.

შემეესია რუსი სურეფს, იარაღი მოგვეცითო. ხის ფულურიებში ქვქონდა დამალული, რას მიავნებდნენ, მარა გადაგწვავთო. ამ გადაწვას ქე ვიყავით მიჩოული. დეიზაფრა ხალხი. მუასკდა ჯარი, — ქარხანა ამინუჩი, თვარა აქანე ნაცარი დარჩებაო, თქვენც ჩაგწვავთ შითო. ვდგანვართ და ვუცთით სიკვტილს. ხალხი ენას არ იღებდნენ, არ ტყტებოდნენ. გამეიყვანეს ჩვენს წინ კირილე ბიბინეიშვილი. შენ თურმე იმ ქარხნის მცველათ ყოფილხარ და გაგვიძეხვი წინ, გვაჩვენე ქარხანაო. მერე ბესარიონე კიკვაძე გამეიყვანენ, მერე ბესარიონე ჯულაყიძე, დათაიე კიკვაძე. დაამწკრივენ აგენი და უთხრენ, ტყისმცველმა გავცენ, გვანახეთ ქარხანაო და მუუშვირენ ტყვია. გაჩია საცხეიდან გადამდვარი აფიცერი დათაიე სანიკიძე, დეუშვით იარაღი, უყვირა რუსებს, მე ვიცი, სადაა ქარხანა, წამომყეთო.

მივადექით ქოქილოურს, მარა ზარაზნიანი ცხენები ვერ დეიძრენ იმ სკურიეთის გზაზე. თურმე გზაი დეუბნევია დათაიას. შეჩერდა ჯარი, სტრაყნიკები ყვიროდენ, უზარაზნოთ სა წევიდეთო. დათაიამ უთხრა, სხვაი გზაი ვიცი, ოღონდ პაწე უკან დევეხოთ, მუაბრუნეთ ცხენებიო. ცხენები ვერ მობრუნდნენ და ზარაზნებიანათ გადაცვინდენ კარჩხალზე. იქინე ვინ ჩევიდოდა. არიკაცს აღარ მუუკითხავენ არც ჩხენები და არც ზარაზნები. აბა, ფეხითო, გაცენ ბრძანება და გაგვირეკენ წინ. ამასობაში მუესწრიენ ქარხნის დაშლა და გადამლვა. ჩამეუურეკენ ნაქარხნალზე ბებერე კიკვაძის ჯოგი და სოდომ-გომოროთ მეუქცევა საქონელს იქოვრობა.

ჩვენც გადავრჩით და ქარხანაც. იგი ზარაზნები ახლაც ქე ყრია ალბათ იქინე“.

მოხუცი სიმწრით წამოდგა სკამიდან. გვერდი იცვალა და ისევ დაჯდა. ისევ დატენა თუთუნით ჩიბუხი, გაკრა კვესს, აბედმა სასიამოვნო სურნელი დააყენა.

— კიდო როის მეკიდე, ისაკი ბიძია? — ვკითხე.

— როცხა გინდა, ბიძია, მაშინ მოი. სა გვეიქცევი აი ფეხსკიპარტე ბერიკაცი.

რუსუდან ბერიშვილი,
2020 წელი, 14 იანვარი, ჩოხატაური.

რედაქტორი: თემურ მარშანიშვილი

ტრისტან სიხარულიძე საოჯახო კალენდარში

საახალწლოდ გურულებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის 2020 წლის საოჯახო კალენდარში მოთავსებულია წერილი გურული სიმღერების ვირტუოზულ შემსრულებელზე, უბადლო მოკრიმანჭულეზე, ლოტბარზე, ხელოვნების ქურუმზე – ბატონ ტრისტან სიხარულიძეზე.

ვფიქრობთ, ნაკალანდევს კარგ გუნებაზე დაგაყენებთ ეს წერილი:



სიხარულის მომგვრელი სიხარულიძე

გურული სიმღერების პატრიარქი ტრისტან სიხარულიძე ჰყვება:

– სიმღერის პატრიარქად მე ანზორ ერქომაიშვილს დაგისახელებდით. მეამყება, რომ ნამღერი მაქვს ვლადიმერ და არტემ ერქომაიშვილებთან, ვლადიმერ ბერძენიშვილთან. სიმღერა მამამ მასწავლა, – ჰყვება ბატონი ტრისტანი, – სიმღერა გურულებისთვის მძიმე შრომის და მწუხარების შემამსუბუქებელი იყო. გურული სიმღერა სიცოცხლის გაგრძელებაა. გურული სიმღერის შემსრულებელმა კაცმა ტრაფარეტულად არ უნდა იცოდეს სიმღერა. მაგალითად, როცა „ჩვენ მშვიდობას“ ერთხელ ვიმღერებ, მეორე ნამღერი პირველს არ უნდა ჰგავდეს. ტრაფარეტული და ნოტებზე გადატანილი სიმღერა გურულს არ უხდება. სიმღერასაც უნდა განვითარება. მაგალითად, „ხასანბეგურა“, რომელსაც ბევრი ხმა მღერის, შეიძლება ერთნაირად იმღერო, მაგრამ სადაც ტრიოს სიმღერაა და სამი კაცი მღერის, იქ უნდა დაეტაკონ შემსრულებლები ერთმანეთს: ერთი რომ ზევით წავა, მეორე ქვევით უნდა დახვდეს და პირიქით. ამას ყველა ვერ აკეთებს.

ყოველ წელიწადს 10-12 უცხოელი მაინც ჩამოდის სხვადასხვა ქვეყნიდან და სწავლობენ გურულ სიმღერას. პირველად, 1995 წელს ფრანგები ჩამომიყვანეს. საფრანგეთში არის ქართული ანსამბლი „მარანი“ და იქ გურული სიმღერის მასწავლებლად მიმიწვიეს. მოხდა ისე, რომ 10 დღის მერე იქაურ ხელმძღვანელს უთხრეს, რასაც სწავლობთ, იუნესკოს დარბაზში გვიჩვენეთო. სიმღერის დრო რომ მოვიდა, ერთმა, ვისაც „ჩვენ მშვიდობა“ ვასწავლე“, მითხრა, ამას ვერ ვიმღერებ, შემეშლება და თქვენ იმღერეთო. დავთანხმდი და სიმღერა რომ დავასრულეთ, მქუხარე აპლოდისმენტებით დარბაზი ლამის ჩამოიშალა. მომიახლოვდა ის ბიჭი და მეუბნება, ბატონო ტრისტან, ჩვენ როგორც გვასწავლეთ, ისე რატომ არ იმღერეთ, მე სხვანაირად ვიციო. მეც მოვუყევი „კატის და ლომის“ იგავი, ხეზე აძრომა რომ არ ასწავლა ოსტატმა შეგირდს. ფრანგებმა ბევრი იცინეს.

ერთი ამერიკელი მეგობარი გვყავს, კარლ ლინიქი, არაჩვეულ-ებრივად მღერის ქართულ სიმღერებს. კრებს მოხალისეებს და შარშან 16 უცხოელი ჩამომიყვანა მაკვანეთში, ჩემთან ცხოვრობდნენ და 10 დღეში 10-12 სიმღერა ისწავლეს. ესაა, იმ ინგლისურს ვერაფერი მოვუხერხე, ვერ ვისწავლე.

ქართული სიმღერის სწავლაში ყველაზე ნიჭიერი „შეგირდები“ აღმოჩნდნენ ფრანგები და იტალიელები. ერთმა მეგობარმა მითხრა, კაცო, შენ რომ მაგათ ქართულ სიმღერებს ასწავლი, მერე არ შემოგვიბრუნდნენ და არ თქვან, ეს სიმღერები ჩვენიაო. ვუთხარი, მე იმ ქართველის ნამღერი შევარცხვინე, განსხვავება რომ არ იქნება და უცხოელებს ამას რომ ათქმევინებს-მეთქი.

ვაჟა ჯანუყვაძის მოგონება



წარმატება თუ წარუმატებლობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მენეჯერის ნებასურვილზე განვითარდნენ თვითონ და მოანდომონ განვითარება სხვებსაც..

სწორედ ასეთ სამსახურის უფროსზე მინდა დავწერო გახსენება, მე, მისმა რიგითმა თანამშრომელმა; მინდა მკითხველმა იცოდეს თუ როგორი პროფესიონალი და ნამდვილი ადამიანი იყო ბატონი ვაჟა ჯანუყვაძე, რომელიც 1985 წლიდან იყო მაშინდელი მახარაძის რაიონის პოლიგრაფიული გაერთიანების დირექტორი, (გაერთიანებაში შემოდიოდა ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონებიც).

რეპრესირებულ ოჯახში გაიზარდა. უმაღლესი განათლება მიიღო (გერმანული ენის სპეციალისტი იყო). კარგი შრომითი გზა გაიარა: იყო ჯერ რეგიონული, შემდეგ ოზურგეთის რაიონული გაზეთ „ლენინის დროშის“ ლიტმუშაკი, განყოფილების გამგე, შემდეგ დააწინაურეს და ოზურგეთის რაიკომის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი გახდა; იყო ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორი. მისი დირექტორობის დროს არაერთი მნიშვნელოვანი დადგმა განხორციელდა ოზურგეთის თეატრში. ბუნებრივია, ასეთი გამოც-დილების მქონე კაცი ჩვენს გაერთიანებასაც უნარიანად უძღვებოდა.

ჩვენი სტამბა დაკომპლექტებული იყო 60 თანამშრომლით,საოცარი ადამიანური გუნდი, სივრცე ინტელექტის, თავისუფლების, განვითარების, ადგილი, სადაც დრო საინტერესოდ და სწრაფად გადიოდა.

ასეთ თბილ და მეგობრულ ატმოსფეროს გვიქმნიდა ბატონი ვაჟა, ის საოცრად განათლებული ადამიანი გახლდათ, (თარგმნიდა კიდეც გერმანულ ენიდან ლექსებს, მოთხრობებს, ჩვენს სტამბაში ცალკე წიგნად გამოსცა მის მიერ თარგმნილი ცნობილი გერმანელი კლასიკოსის გოლტფრიდ კელერის „სოფლელი რომეო და ჯულეტა“)

იგი დახმარების ხელს ყოველთვის უწვდიდა თითოეულ თანამშრომელს, როგორც სამსახურეობრივი მოვალების შესრულებაში, ასევე სხვა ნებისმიერ საკითხში.

საოცარი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გაზეთ „ალიონისა“ და სტამბის კოლექტივს. დასამახსოვრებელი ექსკურსიები, მეგობრული შეხვედრები, სადაც ყოველთვის თავს იწონებდა, ბატონი ვაჟას მეუღლის, ქალბატონ მერის იშვიათი ნახელავი.

ცალკე თემაა ბატონი ვაჟას მონდომება გურული ვაჟის უძველესი ჯიშების გაშენების საქმეში. ამიტომაც იწონებდა თავს მის მიერ დაწურული საუცხოო ღვინოები.

წლების გადის და ამ საოცარი ადამიანისაგან მიღებულ ცოდნას, გამოცდილებას დღესაც ვიყენებ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მინდა ბ-ნ ვაჟას იქ, სამუდამო განსასვენებელში დიდი მადლობა გადავუხადო მთელი გუნდის სახელით, უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა.

პატივისცემით,

ოლეგ ჩხარტიშვილი.

საქართველოს პრეზიდენტს ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრმა უმასპინძლა

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრს ესტუმრა, სადაც ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

პრეზიდენტმა ცენტრის საქმიანობას მნიშვნელოვანი უწოდა და აღნიშნა,რომ იგი ქართული ფოლკლორის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისათვის უდიდესი დატვირთვის მატარებელია.

–„ჩვენ მრავალი სირთულის წინაშე ვდგავართ, თუმცა ზურგს გვიმაგრებს უდიდესი ძალა და სიძლიერე – ეს არის თაობა, რომელიც მოდის.

მე აღფრთოვანებული ვიყავი, თბილისში ამ ფოლკლორის ცენტრის ღონისძიებით. ნამდვილად, უდიდესი საქმე კეთდება და დარწმუნებული ვარ ყველგან არის ეს უდიდესი ნიჭი და შემართება.

თუ ჩვენი განწყობა დაეყრდნობა ასეთ რეალურ საქმეს და იმ მომავალს, რომელიც დღეს იქმნება, მაშინ ჩვენ მართლაც ყველანაირი ძალა და რესურსი გვექნება, რათა დავძლიოთ არსებული გამოწვევები.

ეს ქვეყანა არის ძალიან ძლიერი, მრავალი რესურსისა და დიდი წარსულის მატარებელი და რაც მთავარია ძალიან დიდი მომავლის მქონე. ჩვენ თუ ამაში დავრწმუნდებით, ჩვენი მომავალი მართლაც არაჩვეულებრივი იქნება. მე ამაში დარწმუნებული ვარ," – განაცხადა პრეზიდენტმა.

თოჯინების თეატრის სპექტაკლი ასოციაცია „გურიაში“

ალიონი. წარმატებით გრძელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტი, რომელიც ხელს უწყობს მოზარდი თაობის თეატრალური ხელოვნებითა და ლიტერატურით დაინტერესებას.

პროექტის განმახორციელებლები ქართული თეატრის დღეს ასოციაცია „გურიას“ სტუმრობდნენ. თოჯინების თეატრმა ასოციაციის ბენეფიციარებს წარუდგინა „საახალწლო ზღაპარი“, ბიბლიოთეკამ კი მასპინძლებს ტკბილეულით მიულოცა კალანდა. წარმოდგენის ბოლოს ღონისძიების ინიციატორებმა, მონაწილეებმა და დამსწრე საზოგადოებამ სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის ლაშა კუტალაძის თქმით, ასოციაცია „გურიაში“ თოჯინების თეატრის წარმოდგენები ტრადიციად დამკვიდრდა:

„ასეთი წარმოდგენები ასოციაცია „გურიაში“ 2008 წლიდან ტრ-ადიციად დამკვიდრდა. ყოველწლიურად ყველა ახალ პრემიერას ვუჩვენებთ სამ-ოთხჯერ. ამჯერად თეატრის დღესთან დაკავშირებით, ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ერთად ვეწვიეთ და გავმართეთ სპექტაკლი, საახალწლო საჩუქრები გადავეცით ბენეფიციარებს. სპექტაკლებში ხშირად ჩართული გვყავს აქაური ბავშვები, ერთ-ერთი, ირაკლი დოლიძე თანამშრომლად ავიყვანეთ“

კიდევ ერთი კარგი ტრადიცია: ოზურგეთის თოჯინების თეატრი ოზურგეთელი ბავშვებისათვის 2008 წლიდან, ყოველ კვირა დღეს, 1-ლ საათზე მართავს უფასო წარმოდგენებს.

განცხადება

ვყიდი ამორტიზებულ პიანინოს „ივერიას“, რომლის ნაწილები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა პიანინოების შესაკეთებლად.

ციური ინგოროყვა, ჟორჟოლიანის 12-ა.

ტელეფონი: 593 78 62 90.

ანასეულის საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის **დავით ლეჟავას** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ძვირფასო ოზურგეთელებო! ჩემო დვაბზუელებო! გილოცავთ კალანდისა და ნათლისღების დღესასწაულებს. მშვიდობას, სიყვარულსა და წარმატებებს გისურვებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

მამუკა გოგუაძე
ოზურგეთის მერის
წარმომადგენელი დვაბზუს
ადმინისტრაციულ ერთეულში

ძვირფასო ბავშვებო! ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი გილოცავთ კალანდას და ყოველ კვირა დღეს გეპატიჟებათ უფასო წარმოდგენებზე.

სოციალური მოძღვრების ცვლილების გურიის ცემცემი ციცელი გილოცავთ ფლოვნლას ლა მეცხოვრის ნათლისღების ლიღვნაწყოს!

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, ოზურგეთის პირველ საჯარო სკოლას ესტუმრა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძესთან ერთად, გურიის რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, ოზურგეთის პირველ საჯარო სკოლას ესტუმრა.

პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ოზურგეთში რეაბილიტირებული პირველი საჯარო სკოლა და თანამედროვე საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა დაათვალიერეს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს იმ სკოლის ტერიტორიაზე, რომელიც 1846 წელს დაარსდა ჯუმათის მონასტერთან და რომელშიც ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ეგნატე ნინოშვილი და ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები სწავლობდნენ.

სალომე ზურაბიშვილი ოზურგეთის ოლიმპიურ სახლს ეწვია



საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოზურგეთის ოლიმპიურ სახლს ეწვია, რომელიც იაპონიის მთავრობის ხელშეწყობით აშენდა.

სალომე ზურაბიშვილი თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ კომპლექსში, რომელიც საცურაო აუზს, სატრენაჟორო დარბაზს, სპორტულ მუზეუმსა და ბიბლიოთეკას აერთიანებს, ქართველ სპორტსმენებს შეხვდა.

ოზურგეთის ოლიმპიური სახლი, 2016 წელს გაიხსნა და მას შემდეგ რეგიონში მთავარ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრს წარმოადგენს.

ოზურგეთის ოლიმპიური სახლი კულტურულ და საქველმოქმედო ფუნქციასაც ითავსებს. აღსანიშნავია, რომ პირველ დეკემბერს ოლიმპიური სახლი ანიტას დასახმარებლად ოზურგეთის დრამატულ თეატრთან ერთად გაერთიანდა.

სალომე ზურაბიშვილმა საზოგადოებას ქართული თეატრის დღე მიულოცა

ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

პრეზიდენტმა საზოგადოებას ქართული თეატრის დღე მიულოცა, ხაზი გაუსვა თეატრების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ აუცილებელია რეგიონულმა თეატრებმა შეიძინონ ახალი სიცოცხლე.

„მინდა ყველას მივულოცო ქართული თეატრის დღე, რადგან ქართული თეატრი ჩვენი კულტურის ერთ-ერთი უძვირფასესი ნაწილია. აქ ვდგავარ ას სამოცდაათ წლიანი ისტორიის მქონე თეატრის წინ. ოზურგეთის თეატრი, რომელიც ამჟამად რეკონსტრუქციის ქვეშაა, მალე გაიხსნება. 2020 წელს, ის ახალ სიცოცხლეს შესძენს ამ ქალაქსა და საქართველოს. მინდა ეს მივულოცო არა მხოლოდ ოზურგეთს, არამედ სრულიად საქართველოს, რამდენადაც რეგიონისათვის თეატრი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს.

ბოლო წლებში ბევრ ქალაქში თეატრებს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. ახლა საჭიროა, რომ მხოლოდ შენობა კი არ იყოს გარემონტებული, არამედ ახალი სიცოცხლე შეიძინოს რეგიონულმა თეატრებმა. სწორედ ეს არის რეგიონში კულტურის გაცოცხლების, ქართული ენის მაღალ დონეზე შენარჩუნებისა და ახალგაზრდებისათვის ქართულ კულტურასთან ზიარების საწინდარი. ამგვარად, ახალგაზრდებს მიეცემათ არა მხოლოდ სურვილი, არამედ შესაძლებლობაც, რომ ადგილზე განაგრძონ ცხოვრება.

კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ქართული თეატრის დღე და ამ თეატრს დიდი წარმატება ვუსურვო," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

აღნიშნულ თეატრის რეკონსტრუქცია 2019 წლის გაზაფხულზე დაიწყო და მისი დასრულება 2020 წელს იგეგმება.

ქართული პროფესიული თეატრი დააარსა და მისი იდეა განსაზღვრა პოეტმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა, რომლის რეჟისორობითა და მონაწილეობით მისივე პიესა "გაყრა" 1850 წლის 2 (14) იანვარს თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში გაიმართა. სწორედ ეს თარიღი მიიჩნევა ქართული თეატრის აღდგენის თარიღად, ქართული თეატრის დღედ კი, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აღინიშნება.

7 დღის ამინდის პროგნოზი

20 იანვარი, ორშაბათი	21 იანვარი, სამშაბათი	22 იანვარი, ოთხშაბათი	23 იანვარი, ხუთშაბათი	24 იანვარი, პარასკევი	25 იანვარი, შაბათი	26 იანვარი, კვირა
მზე, ღრუბელი +2+7	წვიმა +1+5	ღრუბელი- 1+5	წვიმა 0+5	წვიმა 0+6	მზე, ღრუბელი 0+6	მზე, +1+8